თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

№ 5 (693) 3 - 9 მარტი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge



## ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი იმაზე წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე დაგეგმილი იყო...

იხილეთ მე-2 გვერდზე



## ფრანგმა პროკურორმა ექს-მინისტრის ძვირადღირებულ ადვოკატს სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია?

იხილეთ მე-6 გვერდზე

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# გაზაფხული შემოსულა...

გაზაფხული შემოსულა,
ლენ,
ბუდეები გაუწყვიათ
ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ
ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე
შენ!
გაზაფხული შემოსულა,
ლენ!
მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი
აწყლის,
შორს გუმბათი ბეთანიის
ტაძრის
და ცისფერი, უბორკილო
დღე...
მოგანატრე სათიბი და ტყე!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დარქმევ
„დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე
ბილიკს —
მწევარივით გამიხტუნე წინ!
აწი აღარ გაგაჩერებ შინ!
გაზაფხული შემოსულა,
ლენ,
რია-რია გაუმართავთ
ჩიტებს...
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე
შენ!
გაზაფხული შემოსულა,
ლენ!

**მურმან ლებანიძე**



## დევნიან ქუთაისში საჯარო მოხელეებს?

„თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ“

იხილეთ მე-3 გვერდზე

## „პატრიოტები“: „ქართული ოცნება“ ცდილობს, პოლიტიკურ ველზე მარტო დარჩეს!

ქუთაისის მერიიდან „პატრიოტებს“ უშვებენ

იხილეთ მე-3 გვერდზე

## მიყევი ინსტრუქციას — როგორ დაიბრუნო სახელმწიფოსგან 360 ლარი

დაახლოებით, 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი მოქალაქე, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარს უკან მიიღებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

# საბჭოთა სიმბოლიკები ქუთაისში

## რას გულისხმობს სიმბოლიკებთან დაკავშირებით კანონში შესული ცვლილებები და რა სანქციებია კანონის შეუსრულებლობისთვის?

**საბჭოთა პერიოდმა ინტელექტუალური და ეკონომიკური თვალსაზრისით ჩვენს ქვეყანას გარკვეული დაღი დააჩნია, რის გამოც საქართველოში საბჭოური სიმბოლიკების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო. პარლამენტმა „თავისუფლების ქარტიაში“ შესატანი ცვლილება 87 ხმით 2-ის წინააღმდეგ დაამტკიცა. მიღებული კანონპროექტით, ტერმინი „საბჭოთა სიმბოლიკა“ და“ საბჭოთა იდეოლოგია“ შეიცვალა ტერმინებით — „კომუნისტური ტოტალური სიმბოლიკა“ და „კომუნისტური იდეოლოგია“.**

კანონპროექტის ფარგლებში შეიქმნება სპეციალური კომისიები, რომლებიც იმსჯელებენ საბჭოური იდეოლოგიის შემცველ სიმბოლიკებსა და მათ ბედზე. არსებული კანონმდებლობით, საჯარო ადგილებში იკრძალება ისეთი სიმბოლიკების არსებობა, რომელიც საბჭოთა იდეოლოგიას პროპაგანდას უწევს.

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ორი ათეული წლის განმავლობაში სიმბოლოების, ძეგლებისა და ტოპონიმების წინააღმდეგ ბრძოლა ეტაპობრივად მიმდინარეობდა, თუმცა სიმბოლიკების წინააღმდეგ გალაშქრებამ განსაკუთრებით მწვავე სახე ბოლო წლებში მიიღო. ამის კარგი მაგალითია საბჭოთა ბელადის არაერთხელ გადაღებილი ძეგლი, რომელიც შემდეგ ისტორიულ სანაგვეზე აღმოჩნდა. სტალინის პიროვნების კულტი ჯერ კიდევ რომ მნიშვნელოვანია საზოგადოების ნაწილისთვის, ამას გორში აღებული სტალინის ძეგლის დაბრუნების მოთხოვნით გამართული არაერთი აქცია ადასტურებს.

გაზეთი „P.S.“ დაინტერესდა, დაგვედგინა, რამდენი ძეგლი და საბჭოთა იდეოლოგიის გამომხატველი სიმბოლიკაა ქუთაისში?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## დავით სერგეენკო: „მედიკამენტები მასიურად არ გაძვირდება“

იხილეთ მე-7 გვერდზე

## „ჩემს შვილთან ერთად პარლამენტის შენობიდან გადმოვხტები“



არჩევნებამდე კახა კალაძე საკუთარი ფეხით მოვიდა ჩემს სახლში და შემპირდა, საკუთარი სახსრებით გიყიდით სადმე სახლსო, მაგრამ, ჟერჟერობით, პირობა არ შეუსრულებია

იხილეთ მე-5 გვერდზე

## რაზე მეტყველებენ ლიდერთა ხელები?

იხილეთ მე-7 გვერდზე



ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

სკანვორდი — გვ. 8 ჰოროსკოპი — გვ. 8

ISSN 1987-7056

## საჯარო სკოლის დირექტორების მორიგი სერტიფიცირება

**საჯარო სკოლების დირექტორ-თა მორიგი სერტიფიცირების პროცესი იწყება. ამ თემაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, თამარ სანიკიძემ ბრიფინგი გამართა.**

მინისტრის თქმით, კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარე წლის 4 მარტს დაიწყება და 16 მარტს დასრულდება.
კონკურსში მონაწილეობის საშუალება ნებისმიერ მსურ-ველს აქვს, რომელიც კანონ-მდებლობით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს აკმაყოფილებს. მათ შორის, იმ პირებსაც, რომლებმაც წინა სერ-ტიფიცირების პროცესი წარუმა-ტებლად დაასრულეს.
სერტიფიცირების მიზანია კონკურსანტის პროფესიული კომპეტენციებისა და უნარების შეფასება. პროცესი ორ ეტაპად განხორციელდება — ტესტირება და გასაუბრება. ტესტირება 29-30 მარტს, ელექტრონული ფორმით ჩატარდება.
დაინტერესებულ პირებს, რეგის-ტრაციის გავლა შეეძლებათ 4 მარტიდან ვებგვერდზე http%//directors.mes.gov.ge/.
საგამოცდო ცენტრები საქართვე-ლოს ყველა რეგიონში გაიხსნება. შეფასება ტესტზე მუშაობის დას-რულებისთანავე მოხდება.
სერტიფიცირებულ დირექტო-რებს საშუალება ექნებათ მონაწი-ლეობა მიიღონ დირექტორების შესარჩევ კონკურსში. სერტიფი-ცირების პროცესისა და დირექ-ტორების შესარჩევი კონკურსის დასრულებამდე, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლები მუშაობას ჩვეულ რეჟიმში აგრძე-ლებენ.


თამარ სანიკიძე

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავი-სუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლ-იტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S."
(„პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრა-ცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

P.S.

# ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი იმაზე წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე დაგეგმილი იყო...

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში 22 თებერვალს დაიწყო და 28 თებერვალს დას-რულდა. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ეს არის პირველი ვიზიტი საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, რომელიც, მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც შედგა.**
**მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალურად ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიიწვია.**


ირაკლი ღარიბაშვილი

როგორც „ახალი მემარჯვენეების" წევრმა მამუკა კაციტაძემ სააგენტო „პირველის" პრესკლუბში განაცხადა, „აშშ-ში ვიზიტი უაღრესად მნიშვნე-ლოვანია, რადგან აშშ საქართველოს აღიარებული სტრატეგიული პარტნი-ორია და ბუნებრივია, საქართველოს პრემიერ-მინისტრის სტუმრობა, მარ-თალია დაგვიანებული, არის კარგი და დადებითი მოვლენა."

დაგვიანებული ვიზიტი კი, როგორც ჩანს, წარმატებული გამოდგა საქართვე-ლოს ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრის-თვის. პროტოკოლით გათვალისწინებულ შეხვედრას აშშ-ს ვიცე-პრეზიდენთთან, მოულოდნელად, პრეზიდენტი ბარაკ ობამაც შეუერთდა. როგორც ავტორი-ტეტული ამერიკული გამოცემა „Wall Street Journal (WSJ)" წერს, პრეზიდენტი ბარაკ ობამა, დაახლოებით, 20 წუთის განმავლობაში ხვდებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრს. გამოცემის ინფორ-მაციით, როგორც ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი აღნიშნავს, ეს მოულოდნელი დისკუსია უკრაინაში მიმდინარე ძვრების ფონზე გაიმართა.

„ბატონ ობამასთან შეხვედრა მიზნად ისახავდა იმის ხაზგასმას, რომ შეერ-თებული შტატებისთვის საქართველო მაგალითია ისეთი ყოფილი საბჭოთა რეს-პუბლიკისა, რომელმაც წარმატებულად განახორციელა დემოკრატიული გარ-დაქმნები და დასავლეთს უახლოვდება" — აღნიშნულია „Wall Street Journal"-ის სტატიაში. ამერიკული გამოცემა, ასე-ვე, ადმინისტრაციის მაღალჩინოსანზე დაყრდნობით, წერს, რომ პრეზიდენ-ტმა და პრემიერმა ორ ქვეყანას შორის სავაჭრო კავშირების გაზრდის შესაძ-ლებლობაც განიხილეს.

აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრები გამართა ქართულ დიასპორასთან, აშშ-ს სავაჭრო წარმომადგენელთან, კონგრესის უმცი-რესობის ლიდერთან ნენსი პელოსთან, სიტყვით გამოვიდა კოლუმბიის უნივერ-სიტეტში და ა.შ. თუმცა, პრეზიდენტ ობამას შემდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო მდივან ჯონ კერისთან შეხვედრა. საინფორმაციო სააგენტო „როისტერის" მიერ გავრცე-ლებული ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დახმარება აღუთქვა საქართველოს ევროპასთან უვიზო რეჟიმის შემოღებაში, რათა ხელი შეუწყოს დასავლეთთან უფრო მეტად ინტეგრაციაში.

„დღეს მე განვაცხადე, აშშ-ის სურ-ვილს და ნებას, დაეხმაროს და მხარი დაუჭიროს საქართველოს ევროატლან-ტიკური ინტეგრაციისაკენ სწრაფვაში, კონკრეტულად კი დაეხმაროს, რომ საქართველომ მიაღწიოს ევროპასთან უვიზო რეჟიმის შემოღებას და მინიმუმამ-დე შეამციროს ოკუპირებული ტერიტო-რიების გასწვრივ ე.წ. ბორდერიზაციით მიყენებული ზიანი" — განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეხვედრისთანა-ვე. თუმცა, „როიტერი" იქვე აღნიშნავს, რომ კერის არ უსაუბრია კონკრეტულ გეგმებზე, რომლებიც უნდა განახორ-ციელოს საქართველომ დასავლეთთან ვაჭრობისა და ინვესტირების გაზრდის მიზნით.

### ხელისუფლების შეფასება — ვიზიტი იმაზე მეტად წარმა-ტებული, ვიდრე დაგეგმილი იყო...

„პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ამერი-კის შეერთებულ შტატებში, ჩემთვის პირადადაც, აღმოჩნდა გაცილებით წარ-მატებული, ვიდრე გვქონდა დაგეგმილი, ან შეგვეძლო, წარმოგვედგინა. მნიშვნე-ლოვანია, რომ სავაჭრო ეკონომიკური საკითხები შემოვიდა საქართველო-ამერი-კის ურთიერთობის დღის წესრიგში და ეს სერიოზული თემაა სამომავლოდ. ის ვითარება, რაც დღესაა ჩვენს რეგიონში, საჭიროებდა სწორედ ამ ტიპის ძალიან დემონსტრირებულ მხარდაჭერას, ეს მიღწეულია. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ ის კურსი, რაც გვაქვს," — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდო-მარემ დავით უსუფაშვილმა.

პრემიერის ვიზიტი ამერიკის შეერ-თებულ შტატებში დადებითად და წარმატებულად შეაფასა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მინისტრმა ალექსი პეტ-რიაშვილმაც, „საზოგადოებრივ მაუწყ ებელზე" პირდაპირი ჩართვის დროს. ალექსი პეტრიაშვილი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იყო და პრემიერს თან ახლდა. მისი თქმით, ირაკ-ლი ღარიბაშვილმა ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს სთხოვა, რომ საქართველო ყოველთვის იყოს ერთ-ერთი მთავარი საკითხი აშშ-რუსეთის დიალოგის დროს, რასაც ამერიკული მხარე დაეთანხმა.

„უკრაინის მოვლენებმა გავლენა იქონია, მაგრამ უკვე აბსოლუტური ერ-თსულოვნებაა ჩამოყალიბებული, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება უნდა დაჩქარდეს და თვისობრივად ახალ ეტაპზე გადავიდეს" — განაცხადა პეტრი-აშვილმა. მისივე თქმით, პრემიერის მიერ შეერთებული შტატების უმაღლეს ხელ-მძღვანელობასთან — პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივანთან შეხვედრისას რუსეთთან ურთიერთობაზე მთავარი აქცენტის დასმა და ამ კუთხით საერთაშორისო დიპლომატიური დახმარების საჭიროება ამერიკულმა მხარემაც გაიზიარა.

### გიგა ბოკერია – „იმედი მაქვს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი უკეთ იყო მომზადებული..."

უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივა-ნი საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ის პრეზიდენტის შეხვედრას აფასებს და იმედს გამოთქვამს, რომ ღარიბაშვილი ამ შეხვედრისთვის მომზა-დებული იყო.

„ჩვენ მადლიერები ვართ პრეზიდენტ ობამასი, რომ ასეთ მომენტში, როდე-საც რუსეთის ფედერაცია კვლავ წევს საოკუპაციო ხაზს ჩვენი ქვეყნის სიღრმე-ში, უკრაინის მოვლენების ფონზე, მან კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსირა საქართველოს სუვერენიტეტის, ჩვენი თავისუფალი არჩევანის მიმართ. მე იმე-დი მაქვს, რომ პრემიერი ღარიბაშვილი უკეთ იყო მომზადებული ამ შეხვედრის-თვის, ვიდრე მიუნხენის კონფერენციაზე. ჩვენ გვაინტერესებს მისგან კონკრეტიკა, თუ რა საკითხები დასვა შეხვედრაზე. ეს მნიშვნელოვანია და იმედი გვაქვს, რომ უფრო მეტს მოვისმენთ," — განაცხადა გიგა ბოკერიამ.

პრემიერის ვიზიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა დავით ბაქრაძემაც. მისი აზ-რით, ძალიან კარგია, რომ ეს შეხვედრა შედგა, განსაკუთრებით უკრაინაში განვი-თარებული მოვლენების ფონზე.

„ძალიან კარგია, რომ ასეთი შეხვედრა შედგა, განსაკუთრებით იმ ტრაგიკული მოვლენების ფონზე, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში უკრაინაში გან-ვითარდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ გააგრძელოს ის განსა-კუთრებული პარტნიორობა აშშ-სთან, რომელიც წინა წლებში ჩამოყალიბდა და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხელი-სუფლებამ კარგად გაიაზროს ის მთავარი გზავნილი, რომელიც მკაფიოდ მოდიოდა პრეზედენტ ობამასგან, რომ საქართვე-ლოს სახელმწიფოს და ქართულ დემოკ-რატიას სჭირდება თანამშრომლობა ყვე-ლა პოლიტიკურ ძალას შორის და არა დაპირისპირება და კონფრონტაცია," — განაცხადა ბაქრაძემ.

### პრემიერის ვიზიტის ამერიკული რეზონანსი...

გარდა „Wall Street Journal (WSJ)"-სა, ქართული დელეგაციის ვიზიტს სხვა ამე-რიკული გამოცემაც გამოეხმაურა. „THE HILL" საქართველოს პრემიერ-მინისტრი-სა და აშშ-ის პრეზიდენტის შეხვედრის შესახებ წერს. სტატიაში სათაურით „ობამა და ბაიდენი საქართველოს პრე-მიერ-მინისტრს შეხვდნენ" ავტორი პირველივე აბზაცში აღნიშნავს, რომ მიუხედავად მოსკოვთან ისედაც ძალიან მყიფე ურთიერთობებისა და უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი საქართველოს პრემიერ-მინისტრს ხვდებიან.

„ობამასა და ღარიბაშვილს შორის საუბარმა 20 წუთს გასტანა. ამერიკულ-მა მხარემ საქართველოში მიმდინარე დე-მოკრატიული პროცესების მიმართ კმაყ ოფილება გამოხატა" — წერს გამოცემა და ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის უფრო-სის ციტატა მოჰყავს, სადაც ნათქვამია, „ჩვენი მხარდაჭერა საქართველოს, მოლ-დოვასა და უკრაინის მიმართ არ არის რუსეთის წინააღმდეგ მიმართული."

ოფიციალური განცხადება გაავრცელა მისურის სენატორმა როი ბლანტმა, რო-მელმაც ქართულ დელეგაციას უმასპინ-ძლა. სენატორის თქმით, რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მზადაა, სა-ქართველოს მხარში ამოუდგეს.

შეხვედრის შესახებ ოფიციალური ინფორმაცია ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდე-ნის თეთრი სახლის ადმინისტრაციამაც გამოაქვეყნა. განცხადებაში განსაკუთ-რებულად ხაზგასმითაა აღნიშნული ამერიკის შეერთებული შტატების მხარ-დაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო ნორმებით აღია-რებული ტერიტორიული მთლიანობის საკითხებში. ასევე, მიმოხილულია საქარ-თველო-ამერიკის სამომავლო სტრატე-გიული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და გამყარება.

### გამოხატული ყურადღება ქარ-თული დელეგაციის მიმართ და ცალსახა პასუხი რუსეთს...

როგორც პოლიტოლოგი ბექა ნაც-ვლიშვილი ამბობს, ამერიკელი პარტნიო-რებისთვის პრემიერ-მინისტრის ვიზიტის მნიშვნელობაზე არლინგტონის სასაფლა-ოზე საპატიო ყარაულის უპრეცედენტო შემადგენლობაც მეტყველებს.

„ცალსახად შეიძლება, რომ ეს ვიზიტი ძალიან წარმატებულად შევაფასოთ, იმი-ტომ, რომ ქართული დელეგაცია შეხვდა თითქმის მთელ ამერიკულ პოლიტიკურ ელიტას. არ შეიძლება, არ გამოვყოთ პრე-მიერ ღარიბაშვილის შეხვედრა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასთან. როგორც ვიცით, მან თითქმის 20 წუთი დაუთმო, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა დაგეგმილი არ ყოფილა. დავინახეთ, რომ საქართველოს დელეგაციის მხრი-დან პრემიერთან შეხვედრის ინტერესი ძალიან დიდი იყო. გარდა ამისა, მნიშვნე-ლოვანია ის განცხადებები, რომელიც გაკეთდა ამ შეხვედრებზე, განსაკუთ-რებით, ამერიკელების მხრიდან, იგივე ეკონომიკური დახმარების თვალსაზრი-სით, უსაფრთხოების მიმართულებით" — აცხადებს პოლიტოლოგი სააგენტო „პირWელთან" საუბარში.

პოლიტოლოგის აზრით, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ამერიკა ძალიან ყურადღებით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ძალიან კარგადაა ინფორმირებული. მოიხსნა საკითხი, რომ საქართველოში მიმდინარეობს ოპონენტების პოლი-ტიკური დევნა, იმიტომ, რომ ამაზე საუბარიც კი არ ყოფილა და თუ იყო, ძალიან გაკვრით.

„აქედან გამომდინარე, ეს არის ცალ-სახად დასტური იმისა, რომ ამერიკუ-ლი მხარე აღარ ეგება „ნაციონალური მოძრაობის" საინფორმაციო პროვოკა-ციებზე. თვითონ სიმბოლურ მხარეს რომ მივაქციოთ ყურადღება, თუ რამდენად საპატიო დახვედრა მოუწყო ამერიკულმა მხარემ ქართულ მხარეს, ამის ერთ-ერ-თი დასტური ისაა, რომ არლინგტონის სასაფლაოზე საპატიო ყარაულის თით-ქმის უპრეცედენტო შემადგენლობა იყო. ეს ჩვეულებრივი ამბავი არ არის, ეს სიმბოლიკა ბევრის მთქმელია" — აცხადებს ბექა ნაცვლიშვილი. ის, ასევე, მიიჩნევს, რომ ქართული დელეგაციის მიმართ გამოხატული ყურადღება რამდე-ნიმე ფაქტორით იყო გამოწვეული.

„ეს კომპლექსური საკითხია. ერთია, რომ უკრაინის მოვლენების ფონზე ეს იყო ცალსახა პასუხი რუსეთის მიმართ, რომ აშშ საქართველოს განიხილავს, როგორც მის მეგობარ ქვეყანას და ეცდება, გააკეთოს ყველაფერი, რათა საქართველოს ინტერესები გონივრულ ფარგლებში იყოს მაქსიმალურად დაცუ-ლი. „გონივრულ ფარგლებზე" იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ აშშ-ის ახლანდელი ხელისუფლება განსხვავ-დება წინა ხელისუფლებისგან, რომელიც ცოტა გაუაზრებლად კონფრონტაცი-ული იყო რუსეთთან მიმართებაში. ასეთი ფრაზაც კი გაისმა, რომ ამერიკის ხელისუფლება არ აპირებს ნულოვან-ჯამოვანი თამაშის წესებით თამაშს დიდ გლობალურ მოთამაშეებთან, რომელ-თაც ჩვენთან აქვთ შეხება, მაგრამ მათ მოგვცეს გარანტია, რომ ამ თვალსაზრი-სით ჩვენს ინტერესებს აუცილებლად დაიცავენ," — აცხდებს პოლიტოლოგი ბექა ნაცვლიშვილი.

ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში პრემიერ-მინისტრის ვიზიტი აუ-ცილებელი იყო, ფაქტია. ასევე, უდაოა ისიც, რომ ეს ვიზიტი საკმაოდ წარმა-ტებული გამოდგა ახალგაზრდა პრემი-ერ-მინისტრისთვის და ზოგადად, ახალი ხელისუფლებისათვის, რადგან ამით კი-დევ ერთხელ გაქარწყლდა ოპონენტების არგუმენტი, რომ ახალი ხელისუფლება პროდასავლური კურსის ერთგული არ არის. იქნება თუ არა წარმატებული ეს ვი-ზიტი საქართველოსთის, ამაზე საუბარი კი, ალბათ, უფრო გვიან შეიძლება — როდესაც ვიზიტის დროს მიღებული დაპირებები და ზოგადი განცხადებები საქართველოს ეკონომიკაზე ან საერთა-შორისო ურთიერთობებში, კონკრეტულ შედეგებში აისახება.

**ციტნე პაატაშვილი**

# დევნიან ქუთაისში საჯარო მოხელეებს?

## „თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ“

**საჯარო მოხელეების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება არაერთხელ გამხდარა დავის საგანი. დღეს კი პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებაზე ქუთაისის სპორტის სასახლის დირექტორი დავით ბახტაძე საუბრობს. იგი აღნიშნულ თანამდებობას 2011 წლის ოქტომბრიდან იკავებს. თანამდებობიდან სამომავლო გათავისუფლებას კი პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირებს.**




„ჩვენთან თანამშრომლის საშუალო ხელფასი შეადგენს 200 ლარს. ანუ ხელზე არის 150 ლარის ფარგლებში. ეს არის საარსებო მინიმუმზე დაბალი. საარსებო მინიმუმი საერთოდ შეიძლება იყოს პენსია, აქედან გამომდინარე, საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანისთვის, არა მგონია, იყოს მისაღები. ამ საკითხთან დაკავშირებით მქონდა შეხვედრები საკრებულოში, მაგრამ გარკვეული პერიოდი გაიწელა ეს თემა. გვქონდა საუბარი ქალაქის ვიცე-მერთან, ბატონ ნოდარ მიქიაშვილთან. ორი ფაქტორი იყო განმსაზღვრელი, რომ ჩვენ დავწერეთ წერილი სპორტის გაერთიანებიდან გამოყოფის შესახებ. მიზეზი იყო ის, რომ ფერხდებოდა სპორტის სასახლის ეფექტურად მართვა, არ ხერხდებოდა ნორმალური მუშაობა, რამდენი რამ დაგვჭირდებოდა, უნდა დაგვეწერა წერილი და გაგვეგზავნა გაერთიანებაში, შემდეგ იქიდან უნდა მიგვეღო პასუხი და შესაბამისად გვემოქმედა. მოკლედ რომ ვთქვათ, მაგალითისთვის: ჭანჭიკი რომ დაგვჭირვებოდა, აქაც ოფიციალური მიმართვა უნდა გაგვეკეთებინა, გვექმნებოდა სერიოზული პრობლემები. ამ მიზეზთან ერთად იყო ასევე ფინანსური მომენტიც. თუ ბიუჯეტი არ გაიზრდებოდა, ჩვენ დამოუკიდებლად შევძლებდით ჩვენი თანამშრომლებისთვის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ცხადია, სპორტის სასახლის მუშაობაც წარიმართებოდა ეფექტურად. ეს იყო წინასწარი კონსულტაციის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება და ამის შესახებ ინფორმირებული იყვნენ ქალაქის მერიაც და სპორტის სამსახურიც. მათ გვითხრეს, რომ დაგვეწერა მიმართვა და ამ საკითხს განიხილავდა საკრებულო. ეს შეთანხმებული რომ არ ყოფილიყო, ცხადია, ჩვენ, ჩვენს საწინააღმდეგოს არაფერს გავაკეთებდით. 21 თებერვალს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ სპორტის სასახლე გამოყოფილიყო აიპ-ს. პარალელურად, მოგვთხოვეს განცხადებების დაწერა, მიზეზად რეორგანიზაცია დაგვისახელეს.“

სპორტის სასახლის დირექტორი დავით ბახტაძე ღიად აცხადებს, რომ ეს არის სუბიექტური მიზეზი. ის, რომ სპორტის სასახლემ მუშაობას თავი ვერ გაართვა, ან რაიმე ღონისძიება ჩავარდა, მსგავს გარემოებებს იგი ღიად გამორიცხავს.

„ჩემ შემთხვევაში, საქმე ეხება ჩემს პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, იმას, რომ მე ვარ დეპუტატ გიორგი თევდორაძის ახლო მეგობარი, ეს საკითხები არაერთხელ იყო „წამოტივტივებული“. უბრალოდ, დეკლარირებული და გაჟღერებულიც კი არ არის, თუ რატომ უნდა დავწერო მე განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ტერმინი მათი მხრიდან რეორგანიზაცია არის მიზეზი. მერიაში ვერსად ვერ ვნახე დოკუმენტი, სადაც ბრძანებაა ჩემი გათავისუფლების შესახებ. მაშინ, როცა გაფრთხილება ერთი თვის წინ უნდა მოგვსვლოდა. ეს იყო მხოლოდ სიტყვიერი შეტყობინება და თან არაერთხელ.“

დავით ბახტაძე აცხადებს, რომ განცხადების დაწერას არ აპირებს და ეს ყოველივე სამომავლოდ აქციის სახეს მიიღებს. სპორტის სასახლის თანამშრომლები გაურკვეველ მდგომარეობაში არიან და არ აპირებენ პოზიციების დათმობას.

**ნუგზარ გულუბიანი:** „ჩვენი ხელფასი 160 ლარია. სიტყვიერად გვპირდებიან დიდი ხანია, მოგიმატებთო, მაგრამ მომატება კი არა, სულ გვიშვებენ, მგონი, სახლში.“

საკითხთან დაკავშირებით ქალაქის ვიცე-მერს, ნოდარ მიქიაშვილს ვესაუბრეთ.

**ნოდარ მიქიაშვილი:** „ქრონოლოგიურად რომ მივყვეთ, ქუთაისის სპორტის სასახლე სპორტის გაერთიანებას მათივე მოთხოვნით გამოეყო, ყოველივე ამას კი მოჰყვა რეორგანიზაცია. საუბარია გაბერილ საშტატო განაკვეთზე. დიახ, არ უარვყოფ იმ ფაქტს, რომ უახლოეს მომავალში სპორტის სასახლეს ახალი ხელმძღვანელი ეყოლება და ეს უახლოესი მომავალი, შესაძლოა, იყოს დღეს ან ხვალ. ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე მიმდინარეობს კონსულტაციები სამომავლო კანდიდატთან.“

აღნიშნულ თემას ეხმაურება დეპუტატი, ქალაქის ყოფილი მერი, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი თევდორაძე, რომელიც აცხადებს, რომ ეს არის პოლიტიკური ნიშნით დევნა საჯარო მოხელეებზე.

„გულუბრყვილობა იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს უბრალო დამთხვევაა და ყველაფერი რეორგანიზაციის შედეგია. დავით ბახტაძე არის ჩვენი პარტიის წევრი ოფიციალურად 2014 წლის იანვრიდან. დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან ასეთი ქმედება ახალი არაა. არ უარვყოფ, ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც იყო მსგავსი მაგალითები, მაგრამ ასე მასშტაბურად არა.“

როგორც ჩანს, ყველა ხელისუფლებისათვის აქტუალურია დევიზი: „თუ ჩემთან არ ხარ, ჩემი მტერი ხარ.“

**ლიკა ჩახუნაშვილი**

# „პატრიოტები“: „ქართული ოცნება“ ცდილობს, პოლიტიკურ ველზე მარტო დარჩეს!

## ქუთაისის მერიიდან „პატრიოტებს“ უშვებენ

**მას შემდეგ, რაც ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობით წარმოდგენილი „პატრიოტთა ალიანსის“ რღვევა დაიწყო, „პატრიოტებმა“ ღიად დაიწყეს საუბარი, რომ უშიშროება მათზე ზეწოლას ახდენდა. როგორც აღმოჩნდა უშიშროების ზეწოლას „ძლიერებმა“ გაუძლეს და „სუსტებმა“ კი ალიანსი დატოვეს და სახელდახელოდ ორი ახალი ფრაქცია შექმნეს.**



„პატრიოტებზე“ ზეწოლას არც უშიშროება და არც მმართველი გუნდი არ ადასტურებს. თუმცა, ვითარება არც ამით დასრულებულა და ამჯერად „პატრიოტების“ პროტეჟეებმა ადგილობრივი თვითმმართველობის დატოვება დაიწყეს.

26 თებერვალს, საკუთარი განცხადების საფუძველზე, თანამდებობა დატოვა ვიცე-მერმა გია შარაბიძემ. შარაბიძე აღნიშნულ პოსტზე მაშინ დაინიშნა, როდესაც ქალაქის მერობა დიმიტრი კოპალიანმა იკისრა. შემდეგ კი გარკვეული პერიოდი მმშ-ს პოსტსაც იკავებდა. აღსანიშნავია, რომ ნავიცემერალი შარაბიძე „პატრიოტთა“ ალიანსის კადრს წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ შარაბიძე მედიასთან ყოველგვარ ზეწოლას უარყოფდა, მისი წასვლა მაინც პოლიტიკურ ანგარიშსწორებად მონათლეს. „პატრიოტთა ალიანსის“ წევრის, ტარიელ მესხის განცხადებით, „ქართული ოცნება“ ცდილობს, პოლიტიკურ ველზე მარტო დარჩეს, სწორედ ამიტომ გაუშვეს შარაბიძე, შემდეგ კი საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიის „პატრიოტ“ თავმჯდომარედ, გოგიტა გოგელაშვილს შეუჩერეს უფლებამოსილება.

„ამ წლების განმავლობაში არასოდეს, თავისი ფუნქცია ასე კარგად არ შეუსრულებია საკრებულოს საფინანსო-სარევიზიო კომისიას, როგორც ახლა, მაგრამ, როგორც ჩანს, მმართველ გუნდს არ მოსწონს, მათ დირექტივებს ბრმად რომ არ ასრულებენ. მათი სურვილია, პოლიტიკულ ველზე მარტონი დარჩნენ,“ — განაცხადა მესხმა.

საკრებულოს რიგით 83-ე სხდომაზე წარმოდგენილ საკითხთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარისთვის უფლებამოსილების შეჩერება. საკრებულოს უმრავლესობამ გოგელაშვილი აკაკი სიხარულიძით შეცვალა.

თანამდებობიდან მის გაშვებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებს გოგიტა გოგელაშვილი. როგორც მან ჩვენთან საუბარში აღნიშნა, მასზე ზეწოლას უშიშროება და იმერეთის გუბერნატორი, ზაზა მეფარიშვილი ახდენდა.

„მეფარიშვილი ფლობს მთელ მერიას, ის და მურღულია განაგებენ და აკონტროლებენ ყველაფერს. მათ არ მოეწონათ, მათი მითითებები რომ არ შევასრულე, ამიტომ თითიდან გამოწოვილი მიზეზით, კერძოდ კი პარკირების საკითხის შეუსრულებლობის გამო, გამათავისუფლეს. ეს არის თეთრი ძაფით ნაკერი საქმე, მეფარიშვილს და მურღულიას არ უნდათ მოწინააღმდეგეები, ამიტომ ცდილობენ მათ მოცილებას.“

გოგელაშვილმა აღნიშნა, რომ უშიშროება მისგან „პატრიოტთა ალიანსის“ დატოვებას მოითხოვდა, რაზედაც უარი განაცხადა. გოგელაშვილი შარაბიძის წასვლასაც შეეხო და აღნიშნა, რომ ვიცე-მერის გადადგომის ზუსტი მიზეზი მისთვის უცნობია.

***

**პოლიტიკურ ანგარიშსწორებას უარყოფს საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე მამუკა მღვდელაძე.**

„არანაირ პოლიტიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, უმრავლესობას ერთი ხმა არაფერს უცვლიდა. 10 დღით ადრე შევიტანეთ განცხადება და მოვითხოვეთ, მარგველაშვილთან ერთად, გოგელაშვილის გადაყენებაც და ეს გარდაუვალი იყო. მიზეზი კი პარკირების ჩავარდნილი საკითხი გახდა, რომელზეც პასუხისმგებლობაც იმ კომისიაზე მოდიოდა, რომლის თავმჯდომარეც გოგიტა გოგელაშვილი იყო,“ — განაცხადა მამუკა მღვდელაძემ.

როგორც აღმოჩნდა, შარაბიძის დაუგეგმავი განცხადება გადადგომის თაობაზე, მოულოდნელი არ აღმოჩნდა ადგილობრივი თვითმმართველობისთვის. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, შოთა მურღულიამ შარაბიძეს შემცვლელი იმავე დღეს მოუძებნა და ვიცე-მერის პოსტზე მერიის ყოფილი თანამშრომელი კოტე ქავთარაძე დანიშნა. როგორც აღმოჩნდა, ქავთარაძეს რეკომენდაცია თავად მურღულიამ გაუწია.

„მე უშუალოდ შოთა მურღულიას რეკომენდაციით დავინიშნე“ — აღნიშნა ვიცე-მერმა „**P.S.**“-სთან საუბარში.

წავიდა თუ არა მერიიდან „პატრიოტების“ პროტეჟე ზეწოლით, ამ დრომდე უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ „პატრიოტების“ კაცი „ოცნების“ კაცმა შეცვალა.

მმართველი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქუთაისის ვიცე-მერის პოსტზე ძველი კადრებიდან მხოლოდ ნიკო კაჭკაჭიშვილი დარჩა, რომელმაც მურღულიასთვის უფლებამოსილების შეჩერების შემდეგ, მერის მოვალეობის შემსრულებლის შეთავაზებულ პოსტზე უარი თქვა.

რა კავშირი აქვს შარაბიძის წასვლასა და გოგელაშვილისთვის უფლებამოსილების შეჩერებასთან იმერეთის გუბერნატორს, ზაზა მეფარიშვილს, ამის გარკვევას გუბერნატორთან შევეცადეთ, მაგრამ ზაზა მეფარიშვილი ქალაქში არ იმყოფებოდა, მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, მეფარიშვილთან ვერც სატელეფონო კომენტარის ჩაწერა ვერ მოვახერხეთ.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# საბჭოთა სიმბოლიკები ქუთაისში

## რას გულისხმობს სიმბოლიკებთან დაკავშირებით კანონში შესული ცვლილებები და რა სანქციებია კანონის შეუსრულებლობისთვის?

**პირველი** გვერდიდან



„P.S. ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

აღმოჩნდა, რომ ქუთაისი ამ დროისთვის საბჭოთა სომბოლიკებით სულაც არ არის მდიდარი. შემორჩენილთაგან თვალსაჩინო ნიმუშს ვასილ კიკვიძის ძეგლი და მერიის გვერდით მდებარე მონუმენტებზე გამოსახული საბჭოთა ვარსკვლავი და ქუთაისელი სოციალისტური შრომის გმირების სია, წარწერით „დიდება შრომას“.

დიდი ხნის განმავლობაში საბჭოური სიმბოლო ჩაქუჩი და ნამგალი იყო გამოსახული მესხიშვილის თეატრის სცენის თავზეც. ასევე რამდენიმე ქუჩას საბჭოთა კავშირის პატივსაცემად იდეოლოგიის მატარებელი სახელი ერქვა.

დროთა განმავლობაში სიმბოლიკები ნელ-ნელა ქრებიან. რაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ნაწილი გადაწყვეტილებაში მეტად რადიკალურია და აღნიშნავს, რომ იმპერიის იდეოლოგიის მატარებელი სიმბოლიკები და ძეგლები ჩვენს ქვეყანაში აღარ უნდა იყოს, ნაწილი კი თვლის, რომ ეს ისტორიაა, რომელთანაც ბრძოლა საჭირო სულაც არაა.

ქუთაისში საბჭოთა იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლა, უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე კვლავ აქტუალური გახდა. ქუთაისელმა „ნაციონალებმა“ ზასტავაზე, სკვერში მდებარე ვასილ კიკვიძის ძეგლის აღების მოთხოვნით ჯერ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს, მოგვიანებით კი, პრემიერ-მინისტრს მიმართეს და ძეგლის ასაღებად გარკვეული ვადა მისცეს. ვადის გასვლის შემდეგ „ნაციონალებმა“ დადებული პირობა შეასრულეს და კიკვიძის ძეგლი დემონსტრაციულად წითელი საღებავით შეღებეს. ძეგლის შეღებვას საზოგადოებაში, მომხრეებთან ერთად, მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. მერიის ზედამხედველობის სამსახურის განცახდებით კი, მომხდარ ვანდალურ ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

„მე არ ვადანაშაულებ არავის, მაგრამ ვადანაშაულებ ყველას. მთელი 24 წლის განმავლობაში, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ეს ძეგლი გაეპარა ყველას. საბჭოთა კავშირი დიდი ხანია, დამთავრადა, რის გამოც აღარ არის საჭირო საბჭოთა იდეოლოგიის გამომხატველი ძეგლის ან სიმბოლიკის არსებობა. ჩვენს მიერ ძეგლის გადაღებვა არ არის ვანდალური ფაქტი, ეს არის პროტესტი. მე წინა წლებშიც გამოვდიოდი ინიციატივით ძეგლის აღების შესახებ. ძეგლის შეღებვით მოქალაქე გია გოქაძემ გავაპროტესტე საკრებულოს წევრ გია გოქაძის უმოქმედობა. არ ვამბობ, რომ ძეგლი უნდა გადააგდონ, კარგი იქნება, თუ რომელიმე მუზეუმს გადაეცემა, მის ადგილას კი ლუკა ასათიანის ან გაბრიელ ეპისკოპოსის ძეგლი დაიდგმება,“ — განაცხადა საკრებულოს „ნაციონალმა“ წევრმა გია გოქაძემ.

**სიმბოლიკებთან ბრძოლის შესახებ სხვა მოსაზრება აქვთ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს:**

**ზურაბ თოდუა,** ხელოვნებათმცოდნე: „სიმბოლიკებთან დაკავშირებით ორი მიდგომა შეიძლება იყოს: ერთი, სიმბოლიკები, როგორც მიღებული დაკანონებული ფორმები და მეორე, როგორც მხატვრული ღირებულებები. საბჭოთა წყობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმბოლო იყო ლენინის ძეგლი, რომელიც მოქანდაკე მერაბიშვილის ნამუშევარი იყო და იდგა ქალაქში, რაც ნამდვილად ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენდა. ასევე, სიმბოლოები შემორჩენილი არის რელიეფებში და ესკიზებში, რაც მთლიან კონსტრუქციას ძალიან უხდება, თუკი სიმბოლიკას ამოვიღებთ, დაირღვევა მხატვრული ნიმუში. მართალია, ის არაფერს



„P.S. ფოტო“ (ქანა ჯანელიძე) ©

წარმოადგენს ახლა, მაგრამ ისტორიაა. ნებისმიერი სიმბოლო არის ამა თუ იმ სახელმწიფოს იდეოლოგიის გამომხატველი, ეს არის ისტორიული დოკუმენტი, რომელიც უნდა იყოს შენარჩუნებული. როგორი იყო ეს სახელმწიფო, მომავალ თაობებს ამაზე წარმოდგენა ფაქტებით უნდა ჰქონდეთ.

ცუდი იყო მუსოლინი, როგორც ფაშიზმის ერთ-ერთი დამაარსებელი, მაგრამ რომაელებს მისი ძეგლი არ აუღიათ. ასევეა ძველი რომის იმპერიის სიდიადის გამომხატველი ძეგლები, რომლებიც დღესაც დგას და უფრო მეტ წარმოდგენას გვიქმნიან მათზე. მიმაჩნია, რომ როგორც მხატვრული ნაწარმოები, ეს უნდა დარჩეს ისტორიას, რაც მათდამი ჩვენს დამოკიდებულებას ნამდვილად არ განსაზღვრავს.“

**მევლუდ ბობოხიძე,** არასამთავრობო ორგანიზაცია „ლეო ტაქსილის საზოგადოება“: „24 წელია ყალბი გზით მივდივართ, მაგრამ პასუხს არავის სთხოვენ. საბჭოთა ბელადების ძეგლებს იმიტომ ებრძვიან, რომ ამათ ძეგლს არავინ დაუდგამს. ლენინი იყო უდიდესი ადამიანი, მას 40-ზე მეტი წიგნი აქვს დაწერილი და არსად არ წერს ცუდს. მე სტალინის დროს წლინახევრის გადამასახლეს, სტალინი რომ ცოცხალი იყოს, ახლაც შეიძლება გადასახლებული ვიყო, მაგრამ არ არის სწორი, ისტორია გაუთვითცნობიერებლად შეაფასო. ხომ არ შეიძლება, ხან იძახონ ღმერთია, ხან კი – ცუდი. სტალინი ომის დროს „ნიუიორკ თაიმსმა“ გამოკითხვით ორჯერ აღიარა მსოფლიოს პირველ ადამიანად, მან შვილი გაგზავნა ფრონტზე, ამათ კი ომის დროს გადამალეს შვილები. რაც შეეხება კიკვიძეს, ის გმირი და მებრძოლი იყო, რომლის ძეგლიც რუსეთში დადგეს. კი მაგრამ, რამდენი გმირი გვყავს, რომ არსებულ ძეგლს ებრძვიან? ანდა სტალინზე მეტი საამაყო ვინ ჰყავდათ გორში, მისი ძეგლი რომ აიღეს?

ქვეყანაში დემაგოგიაა, თითქოს დამნაშავის დასჯა არ შეიძლება, ესენი ყველანი დასახვრეტი არიან. რაც ახლა ხდება, ლოიალობა კი არა, კრეტინიზმია. სპეციალურად ებრძვიან საბჭოთა წარმომადგენლებს, რადგან მათზე მაღლა ვერაფრით დადგნენ. ახლა როგორებიც თავად არიან და რა ფანტაზიებიც აქვთ, ისეთ ძეგლებს დგამენ, დაჭყლეტილი ბოთლების, კვერცხების, ფლოსტების და ველოსიპედების სახით. არა მხოლოდ საბჭოთა სიმბოლიკები, არამედ ყველაფერი დაანგრიონ საბჭოთა კავშირის დროს აშენებული და ნახავენ რაც დარჩებათ. მხოლოდ რამდენიმე სახლი, ესაა სულ მათი შემოქმედება.“

ქუთაისისგან განსხვავებით, კომუნისტური სიმბოლიკები ჯერ კიდევ მრავლად არის საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

კანონპროექტში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიის მატარებელი სიმბოლიკების, ძეგლების, ბარელიეფების, წარწერების, სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით შექმნილი კომისია მიმართავს უფლებამოსილ პირს, რომელიც ვალდებული იქნება, აღმოფხვრას კომუნისტური ტოტალური სიმბოლიკები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონის მეშვიდე მუხლის მეექვსე ნაწილის თანახმად, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო პირველ ეტაპზე ახდენს დამრღვევის გაფრთხილებას, ხოლო მითითებების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას ათასი ლარის ოდენობით.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# მიყევი ინსტრუქციას — როგორ დაიბრუნო სახელმწიფოსგან 360 ლარი

## დაახლოებით, 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი მოქალაქე, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარს უკან მიიღებს

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროში, დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის მექანიზმებთან დაკავშირებით, შემოსავლების სამსახურსა და კომერციულ ბანკებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

**2013 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში დაუბეგრავი მინიმუმის ცნება შეიტანა, რაც დაბალშემოსავლიანი მოქალაქეებისათვის, რომელთა წლიური დარიცხული შემოსავალი 2013 წელს არ აღემატებოდა 6000 ლარს, დაუბეგრავი მინიმუმის სახით, მაქსიმუმ 360 ლარის უკან დაბრუნებას გულისხმობს.**

**ხელისუფლების ეს ინიციატივა დაახლოებით, 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი გადამხდელის მხარდაჭერას ითვალისწინებს.**

**გთავაზობთ ინსტრუქციას, როგორ უნდა დაიბრუნოთ დაუბეგრავი მინიმუმი:**

1. დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე www.rs.ge განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრისა და თავისი საბანკო რეკვიზიტის მითითებით, ავსებს ელექტრონულ დეკლარაციას და აქვე იღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესახებ.

2. კანონის შესაბამისად, დეკლარაციების შევსება დაიწყება 1 აპრილიდან. შესაბამისად, აღნიშნული ფორმა ვებ-გვერდზე 1 აპრილიდან გააქტიურდება.

3. დეკლარაციის შევსება შესაძლებელია როგორც სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით, ასევე, საბანკო დაწესებულებაში.

**მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ბანკების მომსახურებით:** სს ბანკი „რესპუბლიკა“; სს „პრივატბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზის ბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „კორსტანდარტ ბანკი“; სს „ბანკი კონსტანტა“; სს „ფინკა ბანკი საქართველო“.



ელექტრონული დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბრუნდება დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრის მეშვეობით: 2 299 299 ან შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შემდეგ მისამართზე: info@rs.ge; www.rs.ge

psnews.ge

# „ჩემს შვილთან ერთად პარლამენტის შენობიდან გადმოვხტები"

## არჩევნებამდე კახა კალაძე საკუთარი ფეხით მოვიდა ჩემს სახლში და შემპირდა, საკუთარი სახსრებით გიყიდით სადმე სახლსო, მაგრამ, ჯერჯერობით, პირობა არ შეუსრულებია

### ეპილეფსიით დაავადებული პატარა დაჯი ქუჩაში რჩება...

**სამტრედიის რაიონში, სოფელ ეწერში მცხოვრები დვალიშვილების ოჯახი სხვის სახლში სამოწყალოდაა შესახლებული.**



„P.S. ფოტო" (ჟანა ჯანელიძე) ©

43 წლის ტარიელ დვალიშვილი და იზოლდა ზაკალაშვილი 7 წლის უკან შეუღლდნენ. იზოლდა ზაკალაშვილი თბილისში, კერძოდ, ისნის რაიონში ცხოვრობდა, ხოლო მისი მეუღლე ვანის რაიონში. როგორც ქალბატონი იზოლდა ჩვენთან საუბრისას ამბობს, ისინი გაცნობიდან ორ კვირაში დაქორწინდნენ, შესაბამისად, არ იცოდა, მისი მომავალი მეუღლე რა პირობებში ცხოვრებას სთავაზობდა, რეალობა კი მძიმე აღმოჩნდა:

„როცა ტარიელი გავიცანი, მალევე შევუღლდით, მეუბნებოდა, რომ საკუთარი სახლი და ბინა ჰქონდა და არაფერს მომაკლებდა, მეც ვენდე და გავყევი, მაგრამ როცა ვანში ჩავედით, იქ დამწვარი ფიცრების მეტი არაფერი დამხვდა. მე მიყვარდა ჩემი ქმარი და მასთან ერთად ფერმაში გადავედი საცხოვრებლად. იქ თან ვმუშაობდით და 8 თვე გავატარეთ მძიმე პირობებში. პრობლემების გამო, ჩემმა ქმარმა დალევა დაიწყო, ხშირად ვჩხუბობდით, თან ფეხმძიმედ დავრჩი და მეშინოდა, ჩემი ნერვიულობით ბავშვისთვის არ მევნო. სამშობიაროდ ჩუმად გავიპარე თბილისში ჩემს ოჯახთან, გზის ფულიც კი არ მქონდა და მეზობლის ქალმა გამაპარა, მძღოლს სთხოვა, ორსული ქალი გზაში არ დავეტოვებინე. იქ ჩემების დახმარებით ვიმშობიარე და შემდეგ კი, იძულებული ვიყავი, დროებით საცხოვრებლად ჩემს დასთან გადავსულიყავი, რადგან თბილისში, 3-ოთახიან ბინაში, დღემდე 11 სული ცხოვრობს".

იზოლდა ზაკალაშვილი მშობიარობიდან 8 თვის განმავლობაში მის დასთან იყო შეკედლებული, შემდეგ კი მეუღლესთან ერთად სრულიად უცხო ადამიანის სახლში განაგრძო ცხოვრება:

„არსად არ გვქონდა წასასვლელი, ხან ერთ ნათესავთან ვათენებდით ღამეს, ხან – მეორესთან. მერე ოჯახის ახლობლებმა გვითხრეს, რომ სამტრედიაში, სოფელ ეწერში, ერთი დაკეტილი სახლი იყო, რომლის მესაკუთრემაც 3 წლის ვადით, სრულიად უსასყიდლოდ დაგვითმო მისი სახლი. თუმცა, აქაურობას ბოსელის დანიშნულება ჰქონდა, სიმინდის ჩალების შესანახი იყო. ჩემმა ქმარმა რამდენიმე დღის განმავლობაში ძლივს დაამსგავსა საცხოვრებლად ვარგის ჭერს, მაგრამ ეს სახლი დიდი შვება იყო ჩვენთვის, წვიმაში გარეთ მაინც არ მოგვიწევდა ყოფნა. შემოვედით ცარიელ კედლებში და ნოლიდან დავიწყეთ ცხოვრება მაშინ, როცა ხელში ავადმყოფი, ეპილეფსიანი ბავშვი და კიბოთი დაავადებული მოხუცებული გვეჭირა. დღემდე აქ ვცხოვრობთ. თუმცა, ამოიწურა ჩვენი აქ ყოფნის ვადა და მეპატრონეს სახლის გაყიდვა უნდა".

პირადად დავათვალიერე დვალიშვილების საცხოვრებელი სახლი და შემძრა ნანახმა. პატარა მოდგმულაში სულ სამი ოთახია, აქედან ერთს მისაღების, საძინებლის და სამზარეულოს ფუნქცია ერთდროულად აქვს. გვერდით ოთახში მხოლოდ „ფეჩი" დგას და ე.წ. „კუხნაში" მხოლოდ რამდენიმე ცარიელი ჭურჭელი და უსარგებლო ნივთების გროვა შევამჩნიე. დანარჩენ ორ ოთახს კი უფუნქციობის გამო საკუჭნაოს უწოდებენ. არ არსებობს ელემენტარული საცხოვრებელი პირობები, ფანჯრებზე ცელოფნებია აკრული, წყალი და სიცივე რომ არ შევიდეს სახლში, 4-სულიან ოჯახში მხოლოდ ერთი დასაჯდომი სკამია, რომელსაც მონაცვლეობით იყენებენ. ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს. მათი ყოველთვიური შემოსავალი — სოციალური დახმარების 202 ლარი, მოხუცის პენსია 150 ლარი და ბავშვის დახმარება, მისი ავადმყოფობის ისტორიიდან გამომდინარე, 100 ლარია. აქედან, მინიმუმ, 300 ლარი წამლებში არ ჰყოფნის დვალიშვილებს. რომ არაფერი ვთქვათ სხვადასხვა ბანკებიდან გამოტანილ სწრაფ სესხებზე და მათ გადასახადებზე... თანაც, ყველა შემოსავალი წინასწარი ვადით აქვთ სესხად აღებული და რამდენიმე თვის განმავლობაში ვერანაირ თანხას ვერ აიღებენ. ოჯახში „საპატიო" თარო წამლების უზარმაზარ ყუთს უკავია.



„P.S. ფოტო" (ჟანა ჯანელიძე) ©

გარდა იმისა, რომ ტარიელ დვალიშვილსა და იზოლდა ზაკალაშვილს ჭერის პრობლემა აქვთ, მათ სახლში 6 წლის დაჯი ჰყავთ აღსაზრდელი, რომელსაც მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს და ასევე 84 წლის დედამთილი მოსავლელი, რომელსაც ნერვიულობის ნიადაგზე შეძენილი ეპილეფსიური კრუნჩხვები და მარცხენა თვალის სიმსივნე აქვს. ადამიანურად შემძრა იმ ოჯახში ნანახმა, მოხუცის მძიმე ფიზიკურმა მდგომარეობამ (მარცხენა თვალზე აქვს სიმსივნური წამონაზარდი, რომელიც, როგორც იქ მითხრეს, 32 წლის შვილის გარდაცვალებით გამოწვეული ნერვიული აშლილობის დროს, თავად დაიზიანა თვალი, რაც სიმსივნეში გადაიზარდა და დღემდე, უკვე წლებია, თვალიდან განუწყვეტლივ ელვრება სისხლი და ჩირქოვანი სითხე).

რაც შეეხება პატარა დარეჯანის მდგომარეობას, გაგაცნობთ ამონარიდს დარეჯანის სამედიცინო დიაგნოზიდან:

„ზედა სასუნთქი გზების სხვადასხვა და დაუზუსტებელი ლოკალიზაციის მწვავე ინფექციები" **J06**, კონვულსიები ცხელების დროს **R56.0**, ეპილეფსია **G40**, ერთი წლის და 2 თვის ასაკიდან აღენიშნება ეპიგულყრები. ეპილეფსიის დიაგნოზით მკურნალობენ ძლიერი მედიკამენტებით. აღენიშნება ძლიერი ჭირვეულობა, აგზნება, ქცევის პათოლოგია (ილანძღება, ურტყამს დედას და ყველას ვინც თვალში არ მოუვა, კივის უმიზეზოდ) გუგები თანაბრად მრგვალი. კანი — მკრთალი ფერის, სუფთა. გულის ტონები მცირედ მოყრუებული. ფილტვების აუსკულტაციით — ორივე მხარეს ვეზიკულური სუნთქვის ფონზე ერთეული მშრალი ხიხინი. ხახის რკალები მკვეთრად ჰიპერემიული, ნუშურები — ჰიპერპლაზიური და ჰიპერემიული. მუცელი პალპაციით რბილი."

ეს დიაგნოზი ბევრისთვის შეიძლება სრულიად გაუგებარი იყოს, მაგრამ, იქ გატარებულმა რამდენიმე საათმა იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ თვალებიდან არ ამოდის პატარას არაადეკვატური ქცევები, რომელიც განუწყვეტლივ მოძრაობდა, მის პატარა თითებს სახეზე მადებდა და გაოცებული და ინტერესიანი მზერით, თითქმის ყოველ ორ წუთში მეკითხებოდა: „რა გქვია შენ?" ანერვიულებული ხან დედამისს მიარტყამდა ხელს, ხან ჩემთან მოვარდებოდა, ხანაც ავადმყოფ ბებიასთან. ბებოს, რომელიც ჩემმა მისვლამ და მათი გაჭირვების კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე გახსენებამ იმდენად აანერვიულა, რომ მოხუცებული ჩემი იქ ყოფნის მანძილზე, ქვითინებდა და ისედაც ჭრილობიან თვალზე ცრემლი არ შეშრობია. ეს, ის ბებოა, რომელიც პატარა დარეჯანის ერთ-ერთი შეტევის დროს, როცა, მშობლების თქმით, ბავშვი ლამის ხელში ჩააკვდათ, ნერვებმა უმტყუნა და ჭაში გადახტა.

„საკუთარი ხელით ამოვიყვანე დედაჩემი ჭიდან. არ ვიცოდი მომაკვდავი შვილი გადამერჩინა იმ წამს თუ სასიკვდილოდ განწირული დედა. ღმერთის წყალობით ჩემი დარეჯანი მობრუნდა ამ ქვეყნისკენ და დედაჩემიც გადამირჩინა," — იხსენებს ოჯახის უფროსი.

იზოლდა ზაკალაშვილის თქმით, მათ არაერთხელ მიმართეს დახმარების თხოვნით სახელმწიფოს, პოზიციის თუ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს. მაგრამ, ყველამ ცარიელი პირობით გაისტუმრა და უახლოეს დღეებში არც ჭერი არ ექნებათ, ღამე რომ გაათენონ და არც წამლის ფული არ აქვთ და შიშით ელიან პატარა დაჯის მორიგ შეტევას. რაც, ჩვეულებრივ ყოველ მესამე დღეს აქვს ხოლმე.

„ბოლო წლების განმავლობაში ვის არ მივმართე დახმარების თხოვნით, სად არ წავედი, მუხლებში ვუვარდებოდი ყველას, შვილი არ მომიკლათ უწამლობით და ელემენტარული თავშესაფარი მაინც მომიძებნეთ მეთქი.

**არჩევნებამდე კახა კალაძე საკუთარი ფეხით მოვიდა ჩემს სახლში და რომ გადახედა აქაურ სიტუაციას, ბავშვის მდგომარეობას, მითხრა, ყველანაირად დაგეხმარებიო. შემპირდა, საკუთარი სახსრებით გიყიდით სადმე სახლსო, იმ დღეს, 200 ლარი ამოიღო ჯიბიდან და მაჩუქა. იმედი გამიჩნდა, რომ დამეხმარებოდა, მაგრამ, ჯერჯერობით, პირობა არ შეუსრულებია.** რამდენჯერმე მივედი მასთან სამსახურში და თვითონ დამემალა, მის დაცვას გამოატანა 200 ლარი და ისე გამომისტუმრა. გიორგი მარგველაშვილსაც კი დაველაპარაკე პირადად, როცა საარჩევნოდ შეხვედრებს მართავდა სამტრედიაში. მითხრა, რომ აუცილებლად მოგხედავ, ოღონდ ეს არჩევნები ჩამატარებინეო, მაგრამ იქაც არაფერი. მსგავსი შემთხვევა რამდენიც გინდათ. თითქმის ყველა სტრუქტურაში დავწერე განცხადება, მაგრამ, მხოლოდ ერთი მეორეს შუამდგომლობას უწევენ და მე დამარბენინებენ ტყუილად," — განაცხადა ოჯახის დიასახლისმა.

იზოლდა ზაკალაშვილი იხსენებს, თუ როგორი შეურაცხყოფა მიაყენეს მას „ქართული ოცნების" სამტრედიის ოფისში, სადაც არჩევნების მერე რამდენჯერმე მივიდა დახმარების თხოვნით: „სულ ლანძღვა-გინებით გამომაგდეს იქიდან და კარი ცხვირწინ მომიხურეს, საშინელებები მეძახეს."

რადგანაც იზოლდა ზაკალაშვილი თბილისში, კერძოდ, ისნის რაიონში არის ჩაწერილი, შესაბამისად, საქართველოს კანონის მე-18 მუხლის თანახმად, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას და უფლება-მოვალეობას წარმოადგენს. თუმცა, ზაკალაშვილის განცხადებით, გამგებელი თორნიკე ხუციშვილი პირადად არ შეხვდა, მოადგილემ კი მხოლოდ ცარიელი დაპირებით გამოისტუმრა, მას შემდეგ კი ტელეფონზეც არ პასუხობენ. ჩემი იქ ყოფნის დროსაც დაუკავშირდა ქალბატონი იზოლდა ისნის გამგეობას, საიდანაც, როცა გაიგეს ნაცნობი ხმა, ასეთი პასუხი მოვისმინეთ: „ა ზაკალაშვილი? აუფ!" და გაითიშა.

დვალიშვილები ძალიან მძიმე პირობებში ცხოვრობენ და დახმარების მოლოდინში არიან.

„ჩემი ცხოვრება დიდი ხანია რაც დამთავრდა, ჩემო დაიკო. მე, ჩემი შვილის ასეთ დღეში ყოფნამ დამასამარა. არ ვიცი, საიდან ვიშოვო საკმარისი თანხები, რომ ჩემს დაჯის წამალი არ მოვაკლო, რომ ჩემს დაჯის არ შესცივდეს და არ მოშივდეს, მის საბოლოო განკურნებაზე არაფერს ვამბობ, ან სამუშაო მომცენ, ვემსახურები დღე და ღამე, ოღონდ კი რამე ვიშოვო, ან მოწყალება მაინც გაიღონ და გადამირჩინონ ჩემი ერთადერთი პატარა. დედა კიბოიანი მყავს, შვილი ეპილეფსიანი, ცოლს სიცოცხლე გავუმწარე, სმა დავიწყე, იქნებ დავივიწყო ეს ყველაფერი მეთქი, მაგრამ არ მშველის, მეც ნერვოზი მაქვს უკვე. ადრე, „ნაციონალური" მთავრობის დროს, ერთჯერადად მაინც მეხმარებოდნენ, სანდრა რულოვსის შუამდგომლობით 500 ლარი გადმომირიცხეს ერთხელ, წამლებზე შეღავათები გვქონდა. სააკაშვილის დამსახურებაა ჩემი შვილი დღეს ცოცხალი რომ არის. მეზობლები მიდგანან გვერდით და მეხიდებიან, ბავშვს რომ არ მოშივდეს. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ჩვენი დეპუტატი აქვე მეზობლად ცხოვრობს, ხედავს ამ გაჭირვებას და არაფერს არ აკეთებს. ახლა კი, არავინ არ არის ჩვენი პატრონი, ისღა დამრჩენია, მოვკიდო ჩემს შვილს ხელი და პარლამენტის შენობიდან ორივემ გადმოვხტეთ. ასე დამთავრდება ორივეს ტანჯული ცხოვრება," — თქვა ტარიელ დვალიშვილმა.

**ჟანა ჯანელიძე**

# ფრანგმა პროკურორმა ექს-მინისტრის ძვირადღირებულ ადვოკატს სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია?

## როდის წარდგება კეზერაშვილი ქართველი პროკურორების პირისპირ?

**ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი ქართული მხარის მოთხოვნით 15 ოქტომბერს საფრანგეთში დააკავეს. 2 თებერვალს კი სასამართლომ ის გირაოს სანაცვლოდ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა. საბოლოოდ, 27 თებერვალს საფრანგეთის სასამართლომ ყოფილი ქართველ მაღალჩინოსნის ექსტრადიციაზე უარი განაცხადა.**

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი აცხადებს, რომ ფრანგმა პროკურორმა ექს-მინისტრის ძვირადღირებულ ადვოკატს სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია. ამასთან, წულუკიანის თქმით, კეზერაშვილის საქართველოში ჩამოსაყვანად პროკურატურა მუშაობას აგრძელებს.

„მე ძალიან ვწუხვარ, რომ ფრანგი მოსამართლე აღმოჩნდა ისეთი უთანასწორო პირობების წინაშე, როგორც იყო ერთ მხარეს კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატი და მეორე მხარეს — ფრანგი და არა ქართველი პროკურორი, რომელმაც ამ ძვირადღირებულ ადვოკატს ღირსეული და სათანადო კონკურენცია ვერ გაუწია. ფრანგ პროკურორს ქართველი სამართალდამცველის სახელით ევალებოდა, დაეცვა ჩვენი ინტერესი. ეს ასე ვერ მოხდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ფრანგმა მოსამართლემ კეზერაშვილი გაამართლა რამეში. საქართველოში მის წინააღმდეგ ბრალი წაყენებულია და ასეც დარჩება. მე ვწუხვარ, რომ კეზერაშვილს არ მიეცა საშუალება, ჩამოსულიყო და აქ გაებათილებინა მის წინააღმდეგ წაყენებული ქართველი პროკურორის ბრალდებები. ყოველ შემთხვევაში, ამით ჩვენი სამუშაო ამოწურული არ არის. მე ვიცი, რომ პროკურატურა ამ საკითხზე მუშაობს და გაგრძელდება მუშაობა, რათა დღეს თუ არა ხვალ კეზერაშვილი ჩამობრძანდეს ქვეყანაში და პასუხი გასცეს ქართულ საზოგადოებას," — განაცხადა თეა წულუკიანმა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი კი აცხადებს, რომ მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის მოტივი პოლიტიკურია და საქმე რომ მტკიცებულებებით გამყარებული ყოფილიყო, ფრანგულ სასამართლოს ეჭვები არ გაუჩნდებოდა, შესაბამისად, ქართული მხარის მოთხოვნაც დაკმაყოფილდებოდა.

„საქმე რომ მყარი ყოფილიყო, პოლიტიკური ანგარიშსწორების შესახებ ექს-ან-პროვანსის სასამართლოს ეჭვები არ გაუჩნდებოდა. ცნობილია, რომ საქართველოში ჩემს ექსტრადიციაზე, მოსამართლეს უარის თქმის რეკომენდაცია ფრანგმა



დავით კეზერაშვილი

პროკურორმა მისცა. პროკურორმა, რომელიც როგორც წესი, სასამართლოში, ექსტრადიციის მთხოვნელ მხარეს, ანუ სახელმწიფოს წარმოადგენს. ასეთი რამ ძალიან იშვიათია სასამართლო პრაქტიკაში. არ არსებობს არცერთი არსებითი მტკიცებულება, რომელიც ჩემს ინტერესს ან მონაწილეობას დაადასტურებდა ამ საქმეში. საქართველოს პროკურატურა შეეცადა დაემალა იმ მოწმეების ჩვენებები, რომლებიც ჩემს უდანაშაულობას ამტკიცებენ. ასევე ადგილი აქვს შერჩევით სამართალს. საქმის გაუმართაობაზე 23 იანვრის სასამართლოზე თავად პროკურორმა ისაუბრა," — აცხადებს დავით კეზერაშვილი. მისი თქმით, ჯოზეფ კეის ჩვენება ხელისუფლებასთან გარიგების შედეგია.

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი გიორგი ფოფხაძე გაზეთ „ალიასთან" საუბარში ამბობს, რომ კეზერაშვილის ძვირადღირებული ადვოკატები არაფერ შუაშია და ქართველმა პროკურორებმა ფრანგ პროკურორს ვერ მიაწოდეს დამამტკიცებელი მასალები, რის საფუძველზეც მაღალ დონეზე დააყენებდა მოთხოვნას. საფრანგეთის სასამართლო არ არის ისეთი, რომ ვინმემ გავლენა მოახდინოს — პრეზიდენტმა სარკოზიმ ვერ მოახდინა თავის დროზე გავლენა და კეზერაშვილის და „ნაციონალების" ლობისტები, მით უმეტეს, ვერ მოახერხებდნენ.

„მინდა მივმართო თეა წულუკიანს. აქ ძვირადღირებული ადვოკატები არაფერ შუაში არიან. მე ვესწრებოდი ამ პროცესს და საკუთარი თვალით ვნახე, რომ მათ დიდი მუშაობა არ დასჭირვებიათ, ოთხიდან სამი ისე იჯდა, არც ერთს ხმა არ ამოუღია. არ დამავიწყდება ფრანგი პროკურორის წამოძახილი: თქვენ რაღაც სისულელეებს მელაპარაკებით! გამწარებული იყო... საქართველოდან ჩამოსული პროკურორი რომ გეტყვის, ეგ ჩემი კომპეტენცია არ არის, ვერ ვერკვევი, თბილისში გადავრეკავო, რა უნდა გავაკეთო? როცა საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა ილაპარაკა, იცი როგორი მზერა ჰქონდათ? შვებით ამოისუნთქეს, სამუშაო აღარ გვაქვსო," — აცხადებს გიორგი ფოფხაძე. მისივე თქმით, კეზერაშვილის საქმეზე ქართული მხარე ექსტრადაციას ვეღარ მოითხოვს, რადგან არსებობს მაასტრიხტის ხელშეკრულება და ის ვრცელდება ევროკავშირის 28 ქვეყანაზე.

**ცოტნე პაატაშვილი**

# „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა" სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ეფექტიანობის ანალიზი წარმოადგინა

**„ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა" მედიასა და არასამთავრობო სექტორს, მათ მიერ განხორციელებული პროექტის – „სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მონიტორინგი და ეფექტიანობის ანალიზ"-ს ანგარიში წარუდგინა. ცენტრის დირექტორმა ნინო ევგენიძემ და პროექტის ხელმძღვანელმა, ჟურნალისტმა თამარ ხორბალაძემ დეტალურად ისაუბრეს პროექტით განხორციელებული აქტივობების შესახებ და შედეგების ანალიზის მიხედვით გარკვეული რეკომენდაციებიც წარმოადგინეს მთავრობისათვის.**




როგორც მათ ანგარიშში აღნიშნეს, პროექტის ფარგლებში განხორციელდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ეკონომიკური ანალიზი. წარმოდგენილ ანგარიშში გაანალიზებულია 2014 წლის 15 იანვრის მდგომარეობით არსებული სტატისტიკური მონაცემები და ასევე ინფორმაცია პროექტების სტატუსის შესახებ. გარდა ამისა, ანგარიშში შევიდა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის ადგილობრივი კოორდინატორების მიერ 2013 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და იანვარში განხორციელებული ადგილობრივი მონიტორინგის შედეგები ხუთ შერჩეულ რეგიონში — ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი, იმერეთი, გურია.

**2013 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით პრიორიტეტული სამუშაოების სამეული ასე გამოიყურება:**

- სოფლის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია,
- სოფლის გზის რეაბილიტაცია,
- სოფლის სასმელი წყლით უზრუნველყოფის სამუშაოები.

ცალკე აღებული პრიორიტეტებიდან ყველაზე დიდი წილი სწორედ ამ ორ ბოლო პრიორიტეტზე მოდის. შესაბამისად, 2013 წელს პროგრამის პრიორიტეტები, წინა წლებთან შედარებით, არ შეცვლილა; რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის პირველი ორი პრიორიტეტიც (დაფინანსების მასშტაბის მიხედვით) ასევე გზა და წყალ-კანალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოებია;

2013 წლის დადგენილებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გამოყოფილი თანხა (50 მლნ. ლარი) საქართველოს 11 რეგიონზე გადანაწილდა: აჭარა; გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო და ზემო სვანეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

საერთო ჯამში დაფინანსდა 6822 პროექტი, საშუალო ღირებულებით 7623 ლარი.

**კვლევამ აჩვენა, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ გაწია ძალისხმევა სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მართვის გასაუმჯობესებლად, რამაც გაზარდა მათი მიზნობრიობა და ხარისხი; თუმცა, კვლავ რჩება პრობლემები, კერძოდ:**

- კვლავ პრობლემად რჩება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტების განსაზღვრის დროს არასწორი, არარეალისტური და გაუთვლელი მიზნების დასახვა, რასაც ზოგ შემთხვევაში პროექტის ჩავარდნამდე, ზოგჯერ კი მის გაჭიანურებამდე მივყავართ; პროექტირების პრობლემები გამოიკვეთა ფონდის პროექტების დაგეგმვის დროსაც, რაც ასევე მსგავს შედეგებში აისახა;
- სამინისტროს მიერ კონტროლის გაძლიერებამ, ერთის მხრივ – გაზარდა სოფლის მხარდაჭერის პროექტების მიზნობრიობა, მეორეს მხრივ კი – გამოიწვია პრიორიტების ხშირი ცვლილება და ხელი შეუწყო პროექტების შესრულების გაჭიანურებას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დაგეგმვის პროცესის სრულყოფისკენ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა; ამ პროცესში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ადგილობრივი რწმუნებულების შესაძლებლობების, მათ შორის — პროფესიონალური უნარების გაზრდისთვის ქმედებების განხორციელებაც, იქნება ეს სპეციალური ტრენინგები, პროფესიონალთა კონსულტაციები დაგეგმვის პროცესში თუ ა.შ.
- ასევე მნიშვნელოვანია ადგილებზე მოსახლეობის ინფორმირებისთვის მეტი ძალისხმევის გაწევა, რათა მოსახლეობის მოლოდინები შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რომელიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არსებულ პროექტში არის დაგეგმილი.
- პროექტების პრიორიტეტების განსაზღვრის გაჭიანურებამ (ზოგ შემთხვევაში სოფლის კრება აგვისტოსა და სექტემბერში ჩატარდა, მაშინ, როცა გაზაფხულზე უნდა ჩატარებულიყო, რაც სრულიად გაუგებარია) გამოიწვია ის, რომ ხშირად სოფლის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოები შესრულდა არა ტენდერით, არამედ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შერჩეულ კონტრაქტორებთან, რაც არასასურველი ტენდენციაა და კორუფციულ საფრთხეს შეიცავს.
- კვლავ შენარჩუნებულია ისეთი პრიორიტეტების დაფინანსება, რომელიც შემდგომ ექსპლუატაციას საჭიროებს (წისქვილი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და ა.შ.) მიგვაჩნია, რომ უფრო დეტალურად არის გასაწერი ის, თუ ვინ იქნება ამ ტექნიკის მოვლა-შენახვაზე პასუხისმგებელი და რა პირობებით მოემსახურება იგი სოფლის საერთო საჭიროებებს. ეს ტექნიკა კერძო პირთა შემოსავლის წყაროდ რომ არ იქცეს.
- პროგრამის ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის მთავარ პრიორიტეტებთან – გზებისა და წყლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების გრძელვადიანი ეფექტით გადასაწყვეტად სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ასიგნებები საკმარისი არ არის. ამიტომ, ხშირად ხდება ისეთი სამუშაოების დაფინანსება, რომელიც მომავალ წელს ხელახალ დაფინანსებას საჭიროებს (გზების მოხრეშვა), ან ისეთი არაეფექტიანი სამუშაოების განხორციელება, როგორიცაა, მაგალითად, არტეზიული ჭის გაჭრა, რომლიდანაც, როგორც წელს ერთ-ერთ სოფელში მოხდა – წყლის რესურსი საერთოდ არ არის. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სოფლების გზებითა და წყლით უზრუნველყოფის თემების გათვალისწინება უპირატესად უფრო მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მოხდეს და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა სხვა, უფრო რეალისტური მიზნებისკენ მიიმართოს.
- მიწის საკუთრების საკითხი რიგ შემთხვევებში პროექტის განხორციელების ხელისშემშლელი ფაქტორი ხდება. საქართველოში მიწის რეგისტრაციის მიმართულებით საგანგაშო მდგომარეობაა, სასოფლო-სამეურნეო მიწების 70% დაურეგისტრირებელია, ასეთ პირობებში ხშირია საკუთრებასთან დაკავშირებული დავები, რაც პროექტის შესრულებას აჭიანურებს, ან შეუძლებელს ხდის.
- რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან დაფინანსებული მსხვილი პროექტები ძირითადად გარდამავალ კატეგორიაშია გადაყვანილი და 2014 წლის თებერვლის მდგომარეობით არ არის დასრულებული. პროექტების გაჭიანურების, ძირითადი, გამომწვევი მიზეზი ტენდერების დაგვიანებული ჩატარება იყო. ამიტომ აუცილებელია პროექტების განხორციელების სწორი დაგეგმვა, და ტენდერები არაუგვიანეს წლის შუა თვეებში უნდა ტარდებოდეს.

**ნატა გულბანი**

EPRC
Economic Policy Research Center
ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი

## ტურისტების ცხოვრებისთვის ყველაზე არასასურველ ადგილად ევროპაში თბილისი დასახელდა

ცნობილმა ამერიკულმა კომპანია Mercer-მა ტურისტების ცხოვრებისთვის ყველაზე არასასურველი ადგილების რეიტინგი განაახლა. ირკვევა, რომ პლანეტაზე ასეთი ადგილები, ძირითადად, ცენტრალურ აზიაშია.

ევროპაში კი ყველაზე დაბალი შეფასება საქართველოს დედაქალაქმა, თბილისმა მიიღო, იტყობინება argumenti.ru. აღსანიშნავია, რომ რეიტინგი მეოცე წელია რაც არსებობს და მისი ავტორები რეიტინგის შედგენისას ქალაქებს, ძირითადად, 39 კრიტერიუმის მიხედვით აფასებენ.

როგორც ირკვევა რეიტინგის შედგენისას ხდება გათვალისწინება შემდეგი კრიტერიუმების: პოლიტიკური სტაბილურობა, პოლიციისა და სასამართლოს ეფექტური მუშაობა, ცენზურა, კლიმატი, ეკოლოგიური მდგომარეობა, სამედიცინო დონე, საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე მოთხოვნილების დონე, საზოგადოებრივი მომსახურების დონე და სხვა.

ცნობისთვის, რეიტინგი სულ 223 ქალაქს მოიცავს.

## კაცხის სვეტი მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავ შენობებს შორის შეიტანეს

**კაცხის სვეტი — ამ დაუჯერებელ, წარმოუდგენელსა და ულამაზეს ქართულ ტაძარს ქართველებზე არანაკლებ აღტაცებაში მოჰყავს უცხოელები. მის შესახებ არაერთი სტატია დაწერილა მსოფლიოს გავლენიან ინტერნეტ თუ ბეჭდურ მედიაში.**

ამჯერად ნაგებობა ინტერნეტგამოცემა The world geography-ის შედგენილ, კლდის მწვერვალზე აგებულ, მსოფლიოს ყველაზე შთამბეჭდავი შენობების ჩამონათვალში მოხვდა. სტატია შემდეგი ტექსტით იწყება: „სტატიაში წარმოდგენილი შენობები წარმოადგენს სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებს, შუქურებსა თუ მონასტრებს სხვადასხვა ქვეყნიდან. ეს შენობები მიუწვდომელ ადგილას, მტრისგან დასაცავად აშენდა; ამასთან, ისინი წყლის ზედაპირის გაკონტროლების საშუალებას იძლევა".

BPI.ge

# რაზე მეტყველებენ ლიდერთა ხელები?

**არც ისე დიდი ხნის წინ, ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფსიქოლოგის სოფო ხარატის სტატია ფსიქოლოგიის ნოვაციაზე, სხეულის ენაზე. ამჯერად ჩვენი ინტერესი მსოფლიოსა და საქართველოს რამდენიმე ლიდერის ხელების „ენაზე" შეჩერდა.**



ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ადამიანები სათქმელს არა მხოლოდ სიტყვებით, არამედ სხვა დამხმარე საშუალებებითაც გამოხატავენ. სხეულის ენა არის ერთ-ერთი უძლიერესი გამომხატველი ადამიანის სათქმელის და რაც უფრო მეტი იცი ამ თემის შესახებ, მით უფრო მეტი ინფორმაცია გაქვს ადამიანზე, სამყაროზე, ემოციაზე, სიმართლეზე, პიროვნების სიძლიერეზე, სისუსტეზე, ქარიზმაზე და საერთოდ, სხვის ჩვენ მიმართ დამოკიდებულებაზე...

თითოეული ადამიანი ცალკე აღებული უნივერზუმია და ეს ნიშნავს, რომ არ შეიძლება 7 მილიარდი ადამიანი განსაზღვრო ერთი რომელიმე დადგენილი წესით, მაგრამ არსებობს წესები, კვლევები, მეცნიერების დასკვნები და მოსაზრებები, რომლებიც ბევრ ადამიანს ერგება და განსაზღვრავს მათ სამყაროს და შესაძლო მოქმედების მიზეზს.

ფსიქოლოგების, თერაპევტების ერთ-ერთი სურვილია, მიაკვლიონ იმას, თუ რა არის ადამიანის ამა თუ იმ ქცევის მიზეზი და რით შეიძლება, ადამიანმა შეცვალოს ესა თუ ის ნეგატიური ქცევა.

ხშირად კონტროლდება იმ ადამიანის ქცევა, რომელიც ხშირად ჩანს. მედიასივრცისთვის ერთ-ერთი საყვარელი საკრიტიკო თემა პოლიტიკაა. ჩემთვის ამ თემას ძლიერი დატვირთვა იმით აქვს, რომ ლიდერები, რომლებიც ჩანან, გადიან ძალიან ძლიერ გზას და ამით ისინი მისაბაძი, საინტერესო, ზოგისთვის საყვარელი და ზოგისთვის, პირიქით, საკრიტიკო პერსონები არიან.

ძალიან ძნელია, იყო მუდმივი დაკვირვების ქვეშ და მუდამ მშვიდ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტის, პაპის, პატრიარქის თითოეული მოქმედება არის მკაცრი გამადიდებელი შუშის ქვეშ გატარებული და ეს ეხება მთლიანად სხეულის ენას – შედარებით ახალ სიტყვას ფსიქოლოგიაში. ასე დაწვრილებით იმიტომ ვსაუბრობ ამ თემაზე, რომ კარგად გასაგები იყოს რამდენად მნიშვნელოვანია სხეულის ენა.

სხეულის ენა არის ადამიანის ენერგიის გამტარი, ანუ მისი მეშვეობით მოგვდის ჩვენ ინფორმაცია, თუ რამდენად დადებით ენერგიას ატარებს თითოეული ჩვენგანი...

გაჩვენებთ ფოტოებს და მის ახსნას, რის მიხედვითაც თქვენთვის უფრო მარტივი იქნება აღქმა, თუ რამდენად ქარიზმატული გავლენა აქვს ერთ მოძრაობასაც კი.

ექს-პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მისი ცნობილი ფოტოებიდან ერთ-ერთი ცნობილი ფოტო, რითაც თითქმის ყველას ახსოვს მისი გამოსვლები, მისი მუშტად შეკრული ხელი.







მუშტად შეკრული ხელი გამოხატავს ბევრ რამეს, მაგრამ ამათგან ყველაზე ხშირად ბრძოლის განწყობას, მუშტი კაცის იარაღიცაა ზოგჯერ. ანუ შესაძლოა, ამით იგი ბრძოლისკენ მოუწოდებდა ხალხს, აგრესიას, რომელიმე მხარის მიმართ, ამ შემთხვევაში მტრის მიმართ და ამიტომაც იყო, რომ ამ ადამიანს ჰყავდა ძალიან ბევრი ისეთი მიმდევარი, რომელიც მზად იყო მისთვის, იდეისთვის დიდ რისკზე წასულიყო. ანუ ბატონი ზვიადი თავისი სხეულის მოძრაობით შეგვიძლია შევადაროთ ნელსონ მანდელას. მათი გამოსვლების შინაარსი დაახლოებით ჰგავდა ერთმანეთს, ორივე იყო ბრძოლისკენ, გათავისუფლებისკენ მიმართული.







***

დაახლოებით მსგავსი მოძრაობა ჰქონდა ჰიტლერს, მაგრამ უფრო ორივე ხელებს იყენებდა, მისი ჟინი გაცილებით აგრესიული, ემოციური, დამპყრობლური იყო, იგი მთელი სხეულით იყო იმ იდეით შეპყრობილი და მისი წარსულიც და მომავალიც მთლიანად ამას ემსახურებოდა.

ბოლო 20 წლის განმავლობაში ლიდერების სხეულის ენა გაცილებით მშვიდობიანი გახდა, შესაძლოა – უფრო დიპლომატიურიც, ანუ ხელის მტევანი შეკრული მუშტის სახით დიდი ხანია, არავის გამოუყენებია. გაშლილი ხელი უფრო დამოძღვრითი ეფექტით გამოირჩევა, გაშლილი ხელით უფრო კარგად შეგიძლია ახსნა შენი სათქმელი, გაშლილი ხელი არის Welcome.

რაც შეეხება საჩვენებელი თითის გამოყენებას, ესეც ერთ-ერთი ლიდერული ჟესტია, რაც მიუთითებს დამნაშავეზე. ეს მეტად საფრთხილო ჟესტია და ასეც ხდება, ხშირად არ გამოიყენებენ ლიდერები მას.

ყველა მოძრაობა გამოხატავს სათქმელს, ანუ ლიდერები, რომლებიც აზროვნებენ პოზიტიურად, უფრო მეტ ქარიზმას, მეტ დადებით ენერგიას გამოსცემენ. შემიძლია ვთქვა, რომ ეს ძალიან კარგად შეეძლო ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, ასევე კარგად შეუძლია ბარაკ ობამას.

ობიექტური შეფასების მიხედვით, ძნელია იყო პრეზიდენტი, ელაპარაკო მილიონობით ადამიანს, აკონტროლო შენი ემოცია, იყო კარგი დიპლომატი და ეს ისე, რომ იყო უშეცდომო. ლიდერს, რომელსაც შეუძლია 50-კაციანი ჯგუფიც კი განაწყოს პოზიტიურად, ნიშნავს, რომ მას გაცილებით მეტი შედეგის მიღწევა შეუძლია.

ძირითადი კი ესაა დასკვნა: ხელები ქმნიან ემოციას!

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## დავით სერგეენკო: „მედიკამენტები მასიურად არ გაძვირდება"



მედიკამენტები მასიურად არ გაძვირდება – ამის შესახებ დავით სერგეენკომ 28 თებერვალს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი განმარტებით, ეს შეიძლება მხოლოდ ერთი ჯგუფის მედიკამენტებს შეეხოს, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა მედიკამენტები გაიაფდება.

დავით სერგეენკო, ჯანდაცვის მინისტრი: „მედიკამენტებზე ფასების მონიტორინგს აქვს თავისი წესები. შეიძლება ერთი ჯგუფის მედიკამენტი ძვირდება, მაგრამ, სამაგიეროდ, იაფდება სხვა. ჩვენ გარკვეულ მონიტორინგს ამ მხრივ ვაწარმოებთ და ვერ დავადასტურებ, რომ მოხდა მედიკამენტების მასიური, 5-10%-ით გაძვირება. ბოლო რამდენიმე კვირაში მოხდა რამდენიმე დასახელების მედიკამენტის გაძვირება, მაგრამ თითქმის იგივე პროპორციით სხვა მედიკამენტებზე ფასები შემცირდა. ეს არის გარკვეული ბაზრის ფლუქტუაცია — ზოგი იმატებს, ზოგი იკლებს. ფარმაცევტულ ბაზარზე იგეგმება რამდენიმე ფარმაცევტული კომპანიის შემოსვლა, თუმცა ამას აფერხებს ის, რომ წამალზე კონტროლი ჯერ არ დასრულებულა, ახლა მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ რაც შეიძლება სწრაფად დავასრულოთ წამლის ხარისხის კონტროლის დანერგვაზე მუშაობა. სხვა მხრივ, გვექნება დიდი რისკები უხარისხო მედიკამენტების შემოსვლის, ანუ ჩვენ არ გვინდა გაიაფდეს წამლები, მაგრამ ჯანმრთელობას საფრთხე შეექმნას."

**ეთერ ბალაძე**

psnews.ge

## სამძიმარი



სკოლის მეგობრები: ალეკო თევდორაძე, ზაურ საკანდელიძე, ლერი კუკულაძე, ნოდარ ჭაჭიაშვილი, ზურაბ თურმანიძე, შოთა ჩხეიძე, ჯემალ ჭილლაძე ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ **მირონ ალექსანდრეს ძე გოგებაშვილის** გარდაცვალების გამო და უსამძიმრებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** სამსახურში შესაძლებელია, ახალი საქმე დაგავალონ და მოგთხოვონ უარი თქვათ შვებულებაზე. ვარსკვლავები გირჩევენ, უარი არ თქვათ ხელსაყრელ წინადადებაზე.

**კურო:** თავს სუსტად იგრძნობთ, თუ რამის გაკეთებას გადაწყვიტავთ დაიხმარეთ ახლობლები. თქვენი სისუსტე დიდხანს არ გაგრძელდება.

**ტყუპები:** მოგეცემათ იმის საშუალება, რომ გამოავლინოთ საკუთარი პოტენციალი, ყველაფერი იმდენად კარგად წავა, რომ გაგიჭირდებათ დაჯერება.

**კირჩხიბი:** თუ თქვენი გეგმების განხორციელება აქამდე ვერ შეძელით, მიზეზი მხოლოდ თქვენშია. შეიცვალეთ იმიჯი, მუშაობის სტილი, ცხოვრების წესი. იყავით უფრო მხიარული ადამიანი და გვერდიდან არავინ მოგიცილებთ.

**ლომი:** დიდი ალბათობაა იმისა, რომ საკუთარ ილუზიებში გაეხვიოთ. ცდა იმისა, რომ რამე ახალი წამოიწყოთ არასახარბიელოდ დამთავრდება, ეცადეთ არაფერი დაგეგმოთ.

**ქალწული:** ეცადეთ, გარშემომყოფები არ გააღიზიანოთ. მოსალოდნელია ხასიათის ცვალებადობა. მოზღვავებული ენერგია სასარგებლო საქმეს მოახმარეთ.

**სასწორი:** ოპტიმისტურად შეხვდით მომავალს. გელით არაჩვეულებრივი შეხვედრა.

**მორიელი:** პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი პრობლემების ერთმანეთისაგან გამიჯვნა ძალიან გაგიჭირდებათ. ეს კვირა წარმატებული აღმოჩნდება პოლიტიკაში დასაქმებული ადამიანებისათვის. სასიყვარულო ურთიერთობები ამ შემთხვევაში მეორე პლანზე უნდა გადასწიოთ.

**მშვილდოსანი:** გარეგნობასთან დაკავშირებული პრობლემები შეგაწუხებთ. თუ დიეტის დაცვა გჭირდებათ ნუ გადადებთ. შეიძინეთ ახალი ტანსაცმელი, შეიარეთ სილამაზის სალონში და შეიცვალეთ ვარცხნილობა.

**თხის რქა:** დაგპირდებიან ოქროს მთებს. ახალ საქმეებს, ახალ პერსპექტივებს, ახალ ბინებს და ბევრ ფულს, თუმცა გაითვალისწინეთ, რომ რაც უფრო დიდ თანხაზე იქნება საუბარი, მით უფრო დიდია ალბათობა, რომ ეს ყველაფერი ტყუილია.

**მერწყული:** ეს კვირა ხანგრძლივი პროექტების განხორციელებას დაუთმეთ. საქმიან ცხოვრებაში აქტიურობა გამოიჩინეთ. ერიდეთ ახალ სასიყვარულო თავგადასავლებს.

**თევზები:** საკუთარი უპირატესობის ბრმა რწმენა და საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, სავარაუდოდ მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემის, რეალური არსის დანახვაში შეგიშლით ხელს.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. ათეიზმი; 5. მაისი; 6. სპა; 8. თან; 9. მაინა; 11. ატლანტა.
**შვეულად:** 1. მერსი; 2. მზე; 3. აბაზანა; 4. იაპონია; 7. რაინი; 10. ოლე.



# რა პროდუქტი გინდებათ, ანუ რომელი ვიტამინი აკლია თქვენს ორგანიზმს?

**გამოტყდით, ვის მოგდომებიათ მოულოდნელად შოკოლადი ან მარინადი? კონკრეტული საკვების მონდომება ორგანიზმში რაღაც ნივთიერების ნაკლებობაზე მიუთითებს და ახლა გავერკვევით, რა გინდებათ და თურმე რა აკლია თქვენს ორგანიზმს?**



**თუ შოკოლადი გინდება:**
ორგანიზმს მაგნიუმი აკლია.
მას შეიცავს: თხილი, მზესუმზირა, ხილი, პარკოსნები.

**თუ პური გინდება:**
აზოტის ნაკლებობა გაქვს.
მას შეიცავს: ცილის შემცველი პროდუქტები (თევზი, ხორცი, თხილი).

**თუ ყინულის კვნეტა გინდება:**
ორგანიზმს აკლია რკინა.
მას შეიცავს: ხორცი, თევზი, ფრინველი, ზღვის კომბოსტო, მწვანილი.

**თუ ტკბილი გინდება:**
1. ქრომი გაკლია.
მას შეიცავს: ბროკოლი, ყურძენი, ყველი, ქათამი, ხბოს ღვიძლი.

2. ფოსფორი გაკლია.
მას შეიცავს: ღვიძლი, ქათამი, თევზი, კვერცხი, რძის პროდუქტები, თხილი.

3. გოგირდი გაკლია.
მას შეიცავს: ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, თეთრი კომბოსტო.

4. ტრიფოფანი გაკლია.
მას შეიცავს: ყველი, ღვიძლი, ქიშმიში, ტკბილი კარტოფილი, ისპანახი.

**თუ ცხიმიანი საკვები გინდება:**

ორგანიზმს კალციუმი აკლია.
მას შეიცავს: ბროკოლი, ქუნჯუთი, ყველი.

**თუ ყავა ან ჩაი გინდება:**
1. ფოსფორი გაკლია.
მას შეიცავს: ქათმისა და საქონლის ხორცი, ღვიძლი, თევზი, კვერცხი, რძის პროდუქტები, თხილი.

2. გოგირდი გაკლია.
მას შეიცავს: ბროკოლი, ყვავილოვანი კომბოსტო, თეთრი კომბოსტო.

3. ნატრიუმი (მარილი) გაკლია.
მას შეიცავს: ზღვის მარილი, ვაშლის ძმარი.

4. რკინა გაკლია.
მას შეიცავს: წითელი ხორცი, თევზი, ქათამი, ზღვის კომბოსტო, თხილი.

**თუ გამონაბოლქვის ჩასუნთქვის სურვილი გიჩნდება:**

1. ცილა გაკლია.
მას შეიცავს: წითელი ხორცი, თევზი, ქათამი, ზღვის კომბოსტო, თხილი.

2. ავენინი გაკლია (ერთგვარი ცილაა).
მას შეიცავს: მიუსლი, შვრიის ფაფა.

3. კალციუმი გაკლია.
მას შეიცავს: ბროკოლი, ქუნჯუთი, ყველი.

4. გლუმინატი გაკლია (ამინომჟავაა).
მას შეიცავს: უმი კომბოსტოს წვენი.

5. კალიუმი გაკლია.
მას შეიცავს: მწვანილი, ზეთისხილი, კურაგა, ზღვის კომბოსტო.

**თუ გაზიანი წყალი გინდება:**
კალციუმის ნაკლებობას განიცდი.
მას შეიცავს: ბროკოლი, ქუნჯუთი, ყველი.

**თუ მარილიანი საკვები გინდება:**
ქლორიდები გაკლია.
მას შეიცავს: თხის რძე, თევზი, ზღვის მარილი.

**თუ მჟავე საკვები გინდება:**
მაგნიუმი გაკლია.
მას შეიცავს: მოხალული თხილი და მზესუმზირა, ხილი.

**თუ წვნიანი გინდება:**
ორგანიზმი წყლის ნაკლებობას განიცდის. სასურველია დღეში 8-10 ჭიქა წყლის დალევა. სასარგებლოა მასში ლიმონის წვენის დამატება.

**თუ მშრალი საკვები გინდება:**
ორგანიზმს მარგანეცი აკლია.
მას შეიცავს: ნუში, ნიგოზი.

**თუ მადა დაკარგე:**
1. ორგანიზმს ვიტამინი B 1 აკლია.
მას შეიცავს: თხილი, მზესუმზირა, ღვიძლი. საქონლის შიგნეულობა.

2. ორგანიზმს ვიტამინი B 2 აკლია.
მას შეიცავს: თევზი, საქონლის, ქათმის, ინდაურისა და ღორის ხორცი; მზესუმზირა.

3. მარგანეცი გაკლია.
მას შეიცავს: ნუში, ნიგოზი.

**თუ მოწევის სურვილი გიჩნდება:**
1. კრემნი გაკლია.
მას შეიცავს: თხილი, მზესუმზირა.

2. ტიროზინი გაკლია.
მას შეიცავს: ფორთოხლისფერი, მწვანე და წითელი ხილი და ბოსტნეული. აგრეთვე, მიიღე C ვიტამინი.

marao.ge



შეადგინა ალეკო ნემსაძე

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



**ეკა ბესელია** ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა **სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



ირაკლი ღარიბაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ვიქტორ იანუკოვიჩი

ამჩატებულო პოლიტიკოსებო, გამოიტანეთ დასკვნა, ღირდა კი ამდენი მსხვერპლის გაღება?

**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი; 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 6. ნუსხა, ჩამონათვალი; 8. კასიუს კლეი ანუ მუჰამედ...; 9. ირანის მონღოლი გამგებელი ... ხანი 1284-1291 წლებში; 11. პოეტი ირაკლი...
**ვერტიკალურად:** 1. ქარიბდას მეწყვილე; 2. ქართული მეორე ასოს სახელი; 3. სახლი ძაღლისა, რომელიც რუსებმა კოსმოსში გაუშვეს; 4. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი; 7. კაბო-ვერდეს დედაქალაქი; 10. „... სოფელო რაშიგან ხარ“.

